სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის

ბრძანება №1/ნ

2024 წლის 10 იანვარი

ქ. თბილისი

„სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 20 მარტის №1/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2017 წლის 20 მარტის №1/ნ ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge, 21/03/2017, 360160000.61.073.016001) დამტკიცებულ „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულებაში (შემდგომში – დებულება) შეტანილ იქნეს ცვლილება და დებულების მე-18 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) პრეტენდენტი არ მიიღებს მონაწილეობას ვაჭრობაში და ამ მიზეზით არ განხორციელდა სარგებლობის ლიცენზიის რეალიზაცია“.

მუხლი 2

დებულების მე-18 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. თუ აუქციონის გამოცხადებისას ლიცენზიის გამცემის მიერ სხვა რამ არ არის დადგენილი, ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებულზე შესაბამისი ლიცენზია გაიცემა მის მიერ აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო/შემოთავაზებული თანხის გადახდის დადასტურებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 3

დებულების მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, ელექტრონულ აუქციონში დამარცხებულს ბე უბრუნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2022 წლის 1 ივლისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე

სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი **ვასილ გედევანიშვილი**